

პრაქტიკოსი ექთანი 090552
მეხუთე საფეხურის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 150 პროფესიული კრედიტი;

სულ 3750 საათი (1 კრედიტი-25 სთ);

აქედან: საკონტაქტო საათი -2998 საათი;

დამოუკიდებელი -752 საათი.

მ.შ. სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკა -60 კრ. (1500 საათი);

V. პროგრამის ხანგრძლივობა – 95 კვირა (-24 თვე)

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და ფლობს კლინიკურ უნარ-ჩვევებს, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს; იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცნობდეს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული ჰქონდეს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; ასევე იცნობდეს თანამედროვე საკომუნიკაციო

საშუალებებს; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; გაცნობიერებული ჰქონდეს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში; იცოდეს მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს.

VIII. პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტს განუვითარდება შემდეგი სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები; ადამიანის ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების ანატომიური აგებულება და ფორმა; ადამიანის ორგანოთა სისტემების ზოგადი ფიზიოლოგია, ორგანიზმში მიმდინარე დაავადებები, ანომალიები;</p> <p>იცის ბავშვის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები;</p> <p>იცის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ჰიგიენა; ინფექციური დაავადებების ეტიოლოგიის, პათოფიზიოლოგიის და ეპიდემიოლოგიის საკითხები;</p> <p>იცის ნერვული და ფსიქიური დაავადებების საფუძვლები;</p> <p>აქვს სამეანო-გინეკოლოგიური საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა;</p> <p>იცის კანისა და ვენერულ დაავადებათა ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ნიშნები და მედიკამენტოზური თერაპია.</p> <p>იცის ონკოლოგიური დაავადებების პათოგენეზი და პალიატიური მზრუნველობის ძირითადი საფუძვლები.</p> <p>აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;</p> <p>იცის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა პრეკლინიკურ - ეკსტრემულ ეტაპებზე და კლინიკურ -სტაციონარულ სიტუაციებში.</p> <p>იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;</p> <p>იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები;</p> <p>იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება ;</p> <p>იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;</p> <p>უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს;</p> <p>ფლობს გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (BLS, ACLS, PHTLS, ATLS);</p>
------------------------------	--

	<p>.იცის შინაგანი დაავადებების სიმპტომატიკისა და შესაბამისი მედიკამენტოზური თერაპიის პრინციპები. კარდიოლოგიური დაავადებები, მასთან ბრძოლის საშუალებების გამოყენება სიცოცხლის დასაცავად.</p> <p>იცის ასეპტიკა და ანტისეპტიკა. ქირურგიული დაავადებები; იცის ფარმაკოლოგიის საფუძვლები, სამკურნალო საშუალებების ჯგუფები , მათი ჩვენებები. უკუჩვენებები , გვერდითი მოვლენები , ასევე მიღების წესი და დოზირების რეჟიმი.</p> <p>იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;</p> <p>იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;</p> <p>გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;</p> <p>იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.</p> <p>იცის სამედიცინო ტერმინოლოგიის და სამკურნალო საშუალებების სახელწოდებები ლათინურ ენაზე</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია:</p> <p>კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა;</p> <p>კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;</p> <p>კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;</p> <p>პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;</p> <p>კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე;</p> <p>კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/წარმოება;</p> <p>მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით;</p> <p>კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;</p> <p>კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ანდა მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა;</p> <p>დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუქციების ადექვატური დელეგირება;</p> <p>შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;</p>

	<p>საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება;</p> <p>ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.</p> <p>შეუძლია სწორად წაიკითხოს რეცეპტის ლათინური ნაწილი, სამედიცინო ტერმინოლოგია და სამკურნალო საშუალებების ლათინური სახელწოდებები .</p>
დასკვნის უნარი	<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე უნარი შესწევს:</p> <p>დროულად ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი;</p> <p>შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან;</p> <p>ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;</p> <p>იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;</p> <p>იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე;</p> <p>უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.</p> <p>იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.</p>
ღირებულებები	<p>მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და</p>

	რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.
--	--

IX. სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა				X		
ინფორმაციული ტექნოლოგიები				X		
სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები	X					
ადამიანის ნორმალური ანატომია	X					
ადამიანის ნორმ. ფიზიოლოგია	X					
პათოლოგიის საფუძვლები	X					
ლათინური სამედ. ტერმინოლოგია	X	X		X		
ბიოეთიკის საფუძვლები	X					X
პრაქტიკოსი ექთნის საქმე	X	X			X	
შინაგანი დაავადებები-1	X					
ზოგადი ჰიგიენა	X					
ქირურგიული დაავადებები-1	X	X	X			
ავადმყოფის მოვლა (პრაქტიკა)		X	X	X	X	X
ფარმაკოლოგიის საფუძვლები	X					
ქირურგიული დაავადებები-2	X					
შინაგანი დაავადებები-2	X					
პედიატრიის საფუძვლები	X	X	X			
ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები	X					X
ინფექციური დაავადებები	X		X			

ნერვ. და ფსიქ. დაავადებები	X		X			
მეანობა	X		X			
გინეკოლოგიური დაავადებები	X					
პირველადი სამედ.დახმარება	X	X	X			
ონკოლოგიური დაავადებები	X	X				
კანი და ვენერული დაავადებები	X					
ქირურგიული საექთნო საქმე (პრაქტიკა)		X	X	X	X	X
რენიმაციული და ინტენსიური თერაპიის პრაქტიკა		X	X	X	X	X
ბავშვთა მოვლა (პრაქტ)		X	X	X	X	X
პრაქტიკოსი ექთნის საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

X. სასწავლო გეგმა პირველი წელი

#	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1	ინგლისური ენა	5	75	-	-	-	6	44	125
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	45	-	-	-	6	24	75
3	სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები	3	45	-	-	-	6	24	75
4	ადამიანის ნორმალური ანატომია	5	75	-	-	-	6	44	125
5	ადამიანის ნორმ. ფიზიოლოგია	4	60	-	-	-	6	34	100

6	პათოლოგიის საფუძვლები	4	60	-	-	-	6	34	100
7	ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიით	3	45	-	-	-	6	24	75
8	ბიოეთიკის საფუძვლები	2	30	-	-	-	6	14	50
9	პრაქტიკოსი ექთნის საქმე	6	90	-	-	-	8	52	150
10	შინაგანი დაავადებები-1	4	60	-	-	-	6	34	100
11	ზოგადი ჰიგიენა	2	30	-	-	-	6	14	50
12	ქირურგიული დაავადებები-1	4	60	-	-	-	6	34	100
13	ავადმყოფის მოვლა (პრაქტიკა)	15	-	-	367	-	8	-	375
	სულ	60	675	-	367	-	82	376	1500

მეორე წელი

#	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
1	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	4	60				6	34	100
2	ქირურგიული დაავადებები-2	5	75				6	44	125
3	შინაგანი დაავადებები-2	5	75				6	44	125
4	პედიატრიის საფუძვლები	5	75				8	42	125
5	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები	3	45				6	24	75
6	ინფექციური დაავადებები	4	60				6	34	100

7	ნერვ. და ფსიქ. დაავადებები	4	60				6	34	100
8	მეანობა	3	45				6	24	75
9	გინეკოლოგიური დაავადებები	3	45				6	24	75
10	პირველადი სამედ.დახმარება	3	45				6	24	75
11	ონკოლოგიური დაავადებები	3	45				6	24	75
12	კანი და ვენერული დაავადებები	3	45				6	24	75
13	ქირურგიული საექთნო საქმე (პრაქტიკა)	5			117		8	-	125
14	რენიმაციული და ინტენსიური თერაპიის პრაქტიკა	5			117		8	-	125
15	ბავშვთა მოვლა (პრაქტიკა)	5			117		8	-	125
16	პრაქტიკოსი ექთნის საწარმოო პრაქტიკა	30				742	8	-	750
	სულ	90	675		351	742	106	376	2250

XI. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

იხ. დანართი 1, 2.

XII. სწავლების მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდებია:

- ლექცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ჯგუფში მუშაობა

ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

XIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მასიმალური შეფასების 81-90 %
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ა მ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

N	კურსუ/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1.	ინგლისური ენა	ნონა ჩიხლაძე	ინგლისური ენის მასწავლებელი
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	დავით სვანიძე	ინფორ. ტექნ. სპეციალისტი
3.	სამედიცინო ბიოლოგიის საფ-ბი	ზაირა ჯაფარიძე	ბიოლოგიის მასწ-ლი, დოცენტი
4.	ადამიანის ნორმალური ანატომია	ნატალია ჭიჭილეიშვილი	ექიმი
5.	ადამიანის ნორმ. ფიზიოლოგია	ნატალია ჭიჭილეიშვილი	ექიმი
6.	პათოლოგიის საფუძვლები	ნატალია ჭიჭილეიშვილი	ექიმი
7.	ლათინური სამედ. ტერმინოლოგია	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
8.	ბიოეთიკის საფუძვლები	მალხაზ ხალვაში	ექიმი
9.	პრაქტიკოსი ექთნის საქმე	ნონა ემირიძე	მედდა
10	შინაგანი დაავადებები-1	ნაირა კობალაძე	ექიმი-კარდიოლოგი
11	ზოგადი ჰიგიენა	ზაირა ჯაფარიძე	ბიოლოგიის მასწ-ლი, დოცენტი

12	ქირურგიული დაავადებები-1	გენადი ხოზრევანიძე	ექიმი -ქირურგი
13	ავადმყოფის მოვლა (პრაქტიკა)	გულიკო აბაშიძე	მედდა
14	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
15	ქირურგიული დაავადებები-2	გენადი ხოზრევანიძე	ექიმი
16	შინაგანი დაავადებები-2	ნაირა კობალაძე	ექიმი-კარდიოლოგი
17	პედიატრიის საფუძვლები	მადონა წულაძე	ექიმი -პედიატრი
18	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები	მალხაზ ხალვაში	ექიმი
19	ინფექციური დაავადებები	ლალი საღარაძე	ექიმი- ინფექციონისტი
20	ნერვ. და ფსიქ. დაავადებები	ირმა ხვიჩია	ექიმი - ნევროლოგი
21	მეანობა	მარინა სურმანიძე	ექიმი- მეან-გინეკოლოგი
22	გინეკოლოგიური დაავადებები	მარინა სურმანიძე	ექიმი- მეან-გინეკოლოგი
23	პირველადი სამედ.დახმარება	გენადი ხოზრევანიძე	ექიმი -ქირურგი
24	ონკოლოგიური დაავადებები	მზია ხალვაში	ექიმი -ონკოლოგი
25	კანი და ვენერული დაავადებები	ნათია ცინარიძე	ექიმი, დერმატო-ვენეროლოგი
26	ქირურგიული საექთნო საქმე	გენადი ხოზრევანიძე	ექიმი -ქირურგი
27	რენიმაციული და ინტენსიური თერაპიის პრაქტიკა	გულიკო აბაშიძე	მედდა
28	ბავშვთა მოვლა (პრაქტიკა)	რუსუდან ცენტერაძე მადონა წულაძე	მედდა ექიმი -პედიატრი
29	პრაქტიკოსი ექთნის საწარმოო პრაქტიკა	გენადი ხოზრევანიძე	ექიმი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება სასწავლებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ანატომიის კაბინეტი; აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტი, ინვენტარი. კომპიუტერული კლასი ჩართულია ინტერნეტში. პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ უახლესი სამედიცინო ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკით.

სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია პრაქტიკების გავლა. იგი ითვალისწინებს შემენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში. პრაქტიკების გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე:

1. შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო”
2. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი”
3. შპს „დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის რესპუბლიკური ცენტრი”
4. შპს „უნიმედი აჭარა”
5. შპს „აჭარის ა/რ ონკოლოგიური ცენტრი”

XVI. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

ნატალია ჭიჭილეიშვილი- ექიმი.

აქვს მედდის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

2009 წლიდან მოწვეულია შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში“ პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე.

ტელ: 593 99 82 50, 577 92 10 67

ელ ფოსტა: natalia_6272@posta.ge

P.S

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა და პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენელთა მითითებები, ისინი მოწვეული არიან პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე:

1. **რუსუდან ცენტერაძე** - ტრენერი/ექთანი, სერთიფიცირებული -„საბაკალავრო სწავლებისათვის საექთნო საქმის პედაგოგების მომზადების პროგრამა”.
2. **გულიკო აბაშიძე** - სერთიფიცირებული ექთანი, გავლილი აქვს ემორის უნივერსიტეტის, ატლანტა, აშშ და „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის” ერთობლივი საექთნო პროგრამის „ექთანი ლიდერის კურსი” .